№ 152

კვირა, 27 ივლისი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 152

კვირა, 27 ივლისი 1897 წ.

**ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲒᲐᲠᲘᲒᲚᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ — 8 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

**ᲮᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ „ᲘᲐᲠᲛᲣᲙᲐ“**

(10—17 აგვისტომდე ზუგდიდის მაზრაში) ამით ვაცხადებთ: 1) კარვები წარსულს წლებზედ უფრო კარგი იქმნება. 2) კარვების ქირაც ნაკლებია სავაჭრო ადგილის მიხედვით: ხუთ მანეთიდგან ათის მანეთის მეტი არ იქმნება, და 3) სადარაჯო ფულიც ნაკლებია, შვიდს დღისთვის გამოერთმევათ მხოლოდ მანეთი თითო კარავისა და ყოველის მხრივ უშიშარნი იქმნებიან მოვაჭრენი.

ხობის მონასტრის წინამძღვარი არხიმანდრიტი სიმეონი

(3—6.—2)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** — დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** დღით $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოობით:

**ა. მ. პუღინოვი.** 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო** — სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

**ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ.**

—

გადაყვანილ იქმნა: ტფილისის მაზრის პოლიციის გამგეობის კანცელარიის მოხელე თავადი ბარათაშვილი გუმბრის მაზრის პოლიციის კანცელარიის მოხელედ და მიენდო ქ. გუმბრის პოლიციის ბოქაულის თანაშემწის თანამდებობის აღსრულება.

## ახალი ამბავი

—

*** მისი უმაღლესობა ბუხარის ემირი კავკავიდგან დღეს წამოვა ტფილისში საქართველოს სამხედრო გზით.

*** 1897 წელს 26 მაისს უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს გარდაწყვეტილების ძალით, იუსტიციის სამინისტროს ხუთ მიწის მზომელთა სასწავლებელში და მათ შორის ტფილისისაში, არსდება მომავალ სამოსწავლო წლიდგან 40 სტიპენდია სამიწად მომქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ხარჯით. თითო სტიპენდიანტს წელიწადში მიეცემა სამასი მანეთი. კერძოდ ტფილისის მიწის-მზომელთა სასწავლებელში 15 სტიპენდია იქნება, იმ პირობით, რომ თუ ამ სასწავლებელში არ აღმოჩნდა მსურველი ან ღირსი ამ სტიპენდიებისა, იგი დროებით სხ. სასწავლებელს მიეცემა. იმ მოსწავლეთ, რომელნიც ხსენებულ სასწავლებელში შევლენ და რომელნიც მოისურვებენ ამ სტიპენდიების მიღებას, უნდა წინადვე განუცხადონ თავიანთი სურვილი სასწავლებლის მთავრობას. სტიპენდიანტები ფულს თვეობით მიიღებენ. სასწავლებელში სწავლის გათავების შემდეგ სტიპენდიანტები ვალდებულნი არიან მიწად-მოქმედების და სახელმწიფო მამულების სამინისტროს უწყებაში იმსახურონ, ერთ წელიწადში რაც სტიპენდია ეძლეოდათ — ორი წელიწადი.

*** ტფილისის გუბერნატორმა მეორედ გაგზავნა ბეითალი ბ-ნი დედაბრიშვილი ოლგინცკის სოფელში საქონლის ჭირის წინააღმდეგ საშუალებათა მისაღებად.

*** ტფილისის გუბერნატორმა, თანხმად ქუთაისის გუბერნატორის მოწერილობისა, შეატყობინა ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელს ბ-ნ ზ. ტ. ლოლაძეს, რომ მან ყურადღება მიაქციოს ქუთაისის გუბერნიის, განსაკუთრებით რაჭის მაზრის მცხოვრებელთ, რომელნიც ტფილისში უპასპორტოდ არიან და დაუყოვნებლივ თავიანთს სოფლებში გაისტუმროს ხოლმე.

*** ქაღალდის ფულის მომზადებელს ექპედიციას ამ მოკლე ხანში კავკასიიდგან ჩინური ჰინჰარი მიუღია გამოსაცდელადა და ქაღალდის ფულისათვის გამოსადეგად უცვნია. ეს ჰინჰარი ბათუმის მახლობლად საუფლის წული მამულში აღმოუჩენიათ იაპონელებს, რომლებიც ჩაის პლანტაციებისათვის გამოიწერეს იაპონიიდგან. იქვე აღმოუჩენიათ იაპონელებს ერთგვარი ხე, რომლიდგანაც იაპონიაში საგანგებო ხარისხის ქაღალდს თურმე აკეთებენ.

*** რუსეთსა, სპარსეთსა და სპარსეთის მეზობლად მცხოვრებ ხალხთა შორის ვაჭრობის გასაძლიერებლად მთავრობას განუზრახავს კავკასიის ერთ-ერთს ქალაქში ყოველ წლიური „იარმუკობა“ გაჰმართოს ხოლმე და საბაჟო გარდასახადი შეუმციროს სპარსეთის იმ საქონელს, რომელიც რუსეთისათვის უფრო საჭირო და სასურველია.

*** პარასკევს, 25 ივლისს, ტფილისის საგუბერნიო გამგეობის სადგომში, ტფილისის გუბერნატორს დ. ს. ს. თ. ა. ბიკოვს გამოეცხადა ტფილისის მაზრის უფროსი სამაზრო პოლიციის ყველა მოხელეებთან ერთან.

*** 2 აგვისტოდგან ამიერ-კავკასიის სახელმწიფო რკინის გზაზედ ახალი ტარიფი იქმნება შემოღებული ცოცხალის თევზის გადატან-გადმოტანაზედ, რისთვისაც ცალკე ვაგონები იქმნება მოწყობილი.

*** ხუთშაბათს, 24 ივლისს, ტფილისში ტყიბულის ქვა-ნახშირის საზოგადოების აქციონერებს საგანგებო საზოგადო კრება ჰქონდათ. კრებამ გადასწყვიტა 1) უფლება მიეცეს ხსენებული საზოგადოების გამგეობას, რომ მან მოახდინოს მოლაპარაკება სხვა-და-სხვა კაპიტალისტებთან საზოგადოების ქვა-ნახშირის მაღაროების გაყიდვის შესახებ. 2) თუ გაყიდვა არ მოხერხდა, საზოგადოების საქმის გასაფართოებლად უფლება ეძლევა გამგეობას საზოგადო კრების მიერ ამორჩეულ კომისიასთან ერთად გამოსცეს ობლიგაციები, ან იშოვნოს საჭირო თანხა.

*** ოზურგეთის მაზრის, სოფ. აკეთიდგან „ნოვ. ობოზ“-ს სწერენ: „ჩვენ სოფელში ამ ჟამად სცხოვრობს 147 წლის მოხუცებული გლეხი სიმონ ღლონტი. აკეთის მათუსალი სხვა-და სხვა სასმელებს არაოდეს არ ერიდებოდა, თამბაქოს წევა ძლიერ უყვარს თურმე. ღლონტის ჯერ არც ერთი კბილი არ აკლია და მხედველობას, სმენას და მეხსიერებას ჯერ არ უღალატნია. მიუხედავად ამისა ღლონტი მუშაობას თავს არ ანებებს და ხშირად შვილებს შველის ხოლმე. ღლონტს ორჯერ ჰყოლია ცოლი. მეორედ 30 წლის წინად დაიწერა ჯვარი 20 წლის ქალი შვილზედ. იმის შთამამავლობა ეხლა 30 სულს შეადგენს. უფროსი შვილი 80 წლისაა. ამ დღეებში ცოტა ავად გახდა და ლოგინში წევს; სიკვდილზედ ლაპარაკი არ უყვარს. საერთოდ 90 წლის მოხუცებული აკეთში ბევრია, მაგრამ სიმონ ღლონტი მათთან შედარებით სწორედ რომ პატრიარქია.

*** 7 ივლისს, ავჭალაში, მეთევზეებმა იპოვნეს მტკვარში დამრჩვალი კაცის გვამი. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ დამრჩვალი დუშეთის მაზრის, სოფ.

## ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

—

### „ᲛᲔᲪ ᲒᲐᲕᲤᲠᲘᲜᲓᲔᲑᲘ...“

(ესკიზი)

— დედა, ერთი ეს ბალიში გამისწორე თავით, ჰო ეგრე. ეს შალიც კარგად შემომიკეცე მუხლებში; უჰ, რა თავისუფლადა ვსუნთქავ ამ მშვენიერ ჰაერს! რა კარგი ვქენით, რომ გამოვეცალეთ ტფილისის დახშულ ჰაერს! მგონი რომ შენც-კი თავისუფლად ამოისუნთქე, თუმცა ჯან საღი ხარ, არა, დედა? დასუსტებულის ხმით ელაპარაკებოდა თვრამეტის წლის ავადმყოფი მაშო თავისს დედას მშვენიერს გაზაფხულის დღეს სავარძელს გადასვენებული აივანზედ.

— ჰო, შენ გენაცვალოს შენი დედა, კარგად იქნები, შენი ჭირიმე. მაგას რაღა ეჭვი უნდა, რომ ჩვენის სოფლის ჰაერი საუკეთესოდ იმოქმედებს შენს სნეულებაზედ. ოღონდ შენა მყავდე, შვილო, კარგად და მე ჯანიც გამვარდნია. სხეულით საღი ვარ, მაგრამ სულით-კი ვიტანჯები, შენ რომ ეგრე უღონოდ გხედავ. მალე მორჩები, გენაცვალე, დიდია დიდება ჩემის წმიდა სალოცავებისა, ისინი მიმყოფებენ შენს თავს კარგად, უპასუხა ქალის მუხლებთან ამომჯდარმა დედამ და უკანასკნელ სიტყვებზედ პირ-ჯვარ გადაწერით მაღლა აღაპყრო ცრემლ-მორეული თვალები.

მაშომ სიამოვნებით გაუღიმა დედას, წამოიწია წინ და ალერსიანად დაუწყო ხელების ცაცუნი ლოყებზედ... პატარა ხანს უკანს ისევ მიესვენა სავარძელზედ და, თითქო დაღალულმა, ჩალულა თვალები. დედას იამა, რომ ძილი მოერია, ღამე ცუდად ეძინა ხოლმე. სული განაბა და მხოლოდ ნაღვლით სავსე სახით დაუწყო ცქერა მაშოს. რას ჰხედავდა საბრალო? უწინ თურაშაული ვაშლისავით დაკვერებული და დატკუცული ლოყები მიჰხმობოდა სახის ძვლებზედ. სანთელივით ჩამომდნარს დასურათებულს ცხვირში სინათლეს დაინახავდა კაცი; ნესტოები ოდნავ უფეთქავდა მძიმე სუნთქვით. ჩალურჯებულ ქუთუთოებზედ გიშრის ფრად დაეხარათ თავი ხშირს წამწამებს. კვლავ კეკლუცად დახუჭუჭებული თმა უსწორ-მასწოროდ გადაჰფარცხოდა მიმტკნარებულს გადაშლილს შუბლზედ. ულმობელის სენით ასე სახიდგან შეცვლილი მაშო მაინც კიდევ ანგელოზს წააგავდა, საუცხოვოდ შეკერილის თეთრის დილის კაბით მორთული. ვაი შენს დედას, შვილო, სტიროდა გულში დედა: ნუ თუ კიდევ ველირსები ოდესმე შენს გამობრუნებას მე თვალდამდგარი?! ნუ თუ ამისთვის მიხაროდა, შვილო, შენი სწავლის დამთავრება, სახლში დაბრუნება? საიდგან რა გამოგივარდა, შვილო, სალსალამათს. რად გამიწყრა ასე ღმერთი. ჭლექიაო, სთქვეს ექიმებმა, სოფლად მირჩიეს წამოყვანა. ჭლექი ჩემს მაშოს? მერე საიდგან, ვისგან? ოი, დაიწყევლე ქალაქო, შენში ჰბუდობს ყოველი სენი, თორემ ჩემს სოფელში, ჩემს გვერდით ამას არა დაემართებოდა-რა. დაიქცეს ის დღე, რა დღესაც მე შენ თავიდგან მოგიშორე, შვილო! ღმერთო, ნუ დამიტანჯავ სულს, ნუ წამიწყმენდ! შენ შეიბრალე ჩემი უბედური თავი, შენ ნუ მომასწრებ ამის უბედურებას... და შეჰქმნა ჩუმი ქვითინი თვალებ და ხელებ მაღლა აღპყრობილმა მშობელმა.

მწარე ფიქრებში წასულმა წინად ვერ შეამჩნია, რომ მაშოს უნებურად გულ ხელი დაეკრიფნა. ეხლა ცრემლებით და ლოცვით ცოტაოდნად გულ-მოოხებულმა უცებ შენიშნა ეს და საჩქაროდ, თუმცა ფრთხილად-კი, წაეტანა მაშოს ხელების ჩამოსაშლელად. მაშოს გამოეღვიძა.

— უჰ, რა ტკბილად ჩამეძინა. დღეს ძალიან კარგადა ვგრძნობ ჩემს თავს. ნუ თუ ასე ჩქარა იმოქმედა სოფლის ჰაერმა?

დედამ საჩქაროდ მოიწმინდა თვალები და მხიარულის სახით უთხრა:

— დიალაც, შვილო, სოფლის წმინდა ჰაერი არამც თუ შენისთანა ავადმყოფებს, მძიმე სნეულსაც-კი არჩენს ხოლმე. ერთი შეხედე, რა მშვენიერი დღეა, ვინ იტყვის, რომ ჯერ ისევ მარტია. რა ადრე გაგვიზაფხულდა.

მაშომ გადაათვალიერა მაღლიდგან ხელის გულივით გადაშლილი მიდამო.

დიდის ზამთრის შემდეგ გამოფხიზლებული ხალხი შესდგომოდა მუშაობას. რამდენისამე თვით გამომწყვდეული საქონელი სიანოვნებით იზლაზნება მზეზედ. ყავრის თავზედ ჰივჰავების მხიარული ჟრიამული გაისმის. აგერ გზის პირას მაშოსთან ერთად შეზრდილს გლეხ-კაცის გოგოს, სისხლითა და ხორცით სავსეს, ზორბა მხრებზედ წამოუდგამს არა ნაკლებ ზორბა ჩაფი და მიეშურება წყაროსაკენ. იქვე ქზის პირას მისი დედ-მამა ვენახში მუშაობს, მამა ვაზსა სხლავს, დედა წალამს უკრეფს. აგერ მეზობლის ეზოში ერთის კვირის ხბო რა მარდად უხტის გარშემო თავისს დედას, როდესაც ხბო კოხტად შეითამაშებს და დედას ალერსიანად გაუწვდენს თავს კისერზედ, დედაც სიამოვნებით ულოკავს თავისის ხაოიანის ენით. ასეთი ამბავია თითქმის ყოველ მცხოვრებელის კარ-მიდამოზედ. მინდვრებში იშვიათად მოსჩანს შებმული გუთანი, ჯერ ადრეა სიმინდისთვის, კარგად ვერ არის ამშრალი, ახლად იღვიძებს მიძინებული ბუნება.

მაშო ჰხედავს ყოველსავე ამას და გული სწყდება. იგონებს იმ დროს, როდესაც სწავლა დაამთავრა და დაბრუნდა სახლში. ღმერთო, რა ბედნიერი იყო მაშინ! რა ნეტარებას ჰგრძნობდა, როდესაც პირველად ტფილისის სადგურზედ მატარებელში

მაღისის მცხოვრებელი ქეკგრი პავლიაშვილი ყოფილა.

*** ქალაქის მე-4, 5 და 6 ნაწილების გამგე ხუროთ-მოძღვრად ქალაქის გამგეობამ ტეხნიკოსის ფითოევის მაგიერ, რომელმაც სამსახურს თავი დაანება, სამოქალაქო ინჟენერი ოჰანეზ კაჩაზნუნი დანიშნა.

*** როგორც შევიტყეთ, ამიერ-კავკასიის რკინის გზის ქუთაისის შტოზედ 2 ვერსის სიშორეზედ, ნიაღვრებს ხიდი ისე წაუხდენია, რომ 25 ივლისიდგან ამ შტოზედ მატარებლების მიმოსვლა შეჩერებულია.

## სოფლების სამეურნეო თანხა და პურის ამბრები *)

### თელავის მაზრაში

ყვარელის ნაწილის მაღრანის საზოგადოებას, რომელშიაც 4 სოფელია, 106 კომლი და 564 სული მკვიდრი, დაზოგილი აქვს მარცვლად 698 ფუთი და ფულად 467 მან. 22 კაპ.; ფშაველის საზოგადოებას, რომელშიაც 3 სოფელია, 221 კომლი და 1.096 სული მკვიდრი,—მარცვლად 1.311 ფუთი და ფულად 451 მან. 72 კაპ.; ნაფარეულის საზოგადოებას, რომელშიაც 3 სოფელია, 328 კომლი და 1.397 სული მკვიდრი,—მარცვლად 1.257 ფუთი და ფულად 1. 464 მან. 1 კაპ.; შაქრიანის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 80 კომლი და 280 სული,—მარცვლად 217 ფუთი და ფულად 331 მან. 87 კაპ.; ენისელის საზოგადოებას, რომელშიაც 4 სოფელია, 858 კომლი და 2.739 სული მკვიდრი,—მარცვლად 1.471 ფუთი და ფულად 3.107 მან. 97 კაპ.; ფაშაანის საზოგადოებას, რომელშიაც 3 სოფელია, 79 კომლი და 180 სული მკვიდრი,—მარცვლად 155 ფუთი და ფულად 420 მან. 92 კაპ.; საბუეს საზოგადოებას, რომელშიაც 2 სოფელია, 262 კომლი და 2.024 სული მკვიდრი,—მარცვლად 1.004 ფუთი და ფულად 1.756 მან.; შილდის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 471 კომლი და 3.632 სული მკვიდრი,—მარცვლად 3.298 ფუთი და ფულად 1.882 მან. 37 კაპ.; ყვარელისავე საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 585 კომლი და 3.429 სული მკვიდრი,—მარცვლად 2.272 ფუთი და ფულად 5.333 მან. 61 კაპ.; კუჭატნის საზოგადოებას, რომელშიაც 2 სოფელია, 82 კომლი და 259 სული მკვიდრი,—მარცვლად 258 ფუთი და ფულად 345 მან. 52 კაპ.; ახალგავაზის საზოგადოებას, რომელშიაც 2 სოფელია, 360 კომლი და 1552 სული მკვიდრი,—მარცვლად 1.056 ფუთი და ფულად 2.177 მან. 37 კაპ. და ძველ-გავაზის საზოგადოებას, რომელშიაც 2 სოფელია, 429 კომლი და 2.228 სული მკვიდრი,—მარცვლად 952 ფუთი და ფულად 3.230 მან. 42 კაპ.

წინანდალის ნაწილის ურიათუბანის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 380 კომლი და 2.343 სული მკვიდრი, დაზოგილი აქვს მარცვლად 782 ფუთი და ფულად 1.502 მან. 27 კაპ.; შაშიანის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 269 კომლი და 1,387 სული მკვიდრი,—მარცვლად 1,253 ფუთი და ფულად 3,140 მან. 81 კაპ.; კალაურის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 335 კომლი და 1,830 სული მკვიდრი,—მარცვლად 827 ფუთი და ფულად 2,063 მან. 85 კაპ.; ვაჩნაძიანის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 217 კომლი და 1,243 სული მკვიდრი,—მარცვლად 404 ფუთი და ფულად 922 მან. 4 კაპ.; აკურას საზოგადოებას, რომელშიაც ერთი სოფელია, 242 კომლი და 1,605 სული მკვიდრი,—მარცვლად 1,304 ფუთი და ფულად 1,163 მან. 89 კაპ.; ვანთა-ბუშატის საზოგადოებას, რომელშიაც 2 სოფელია, 224 კომლი და 1,327 სული მკვიდრი,—მარცვლად 911 ფუთი და ფულად 1,594 მან. 26 კაპ.; ქვემოხოდაშენის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია 194 კომლი და 1,197 სული მკვიდრი,—მარცვლად 662 ფუთი და ფულად 1,394 მან. 91 კაპ.; წინანდალის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 225 კომლი და 1,437 სული მკვიდრი,—ფულად 2,012 მან. 14 კაპ.; კონდოლის საზოგადოებას, რომელშიაც 2 სოფელია, 406 კომლი და 2,096 სული მკვიდრი,—მარცვლად 1,455 ფუთი და ფულად 3,918 მან. 28 კაპ.; კირისხევის საზოგადოებას, რომელშიაც 2 სოფელია, 208 კომლი და 1,239 სული მკვიდრი,—მარცვლად 624 ფუთი და ფულად 1,771 მან. 41 კაპ.; შალაურის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 146 კომლი და 1,044 სული მკვიდრი,—მარცვლად 397 ფუთი და ფულად 1,437 მან. 48.; კურდღელაურის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 454 კომლი და 2,796 სული მკვიდრი,—მარცვლად 300 ფუთი და ფულად 1828 მან. 50 კაპ.; ვარდისუბანის საზოგადოებას, რომელშიაც 2 სოფელია, 309 კომლი და 2,052 სული მკვიდრი,—მარცვლად 14 ფუთი და ფულად 1,907 მან. 13 კაპ.; გულგულის საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 195 კომლი და 870 სული მკვიდრი,—ფულით 1,100 მან. 52 კაპ. ყარაჯალის საზოგადოებას, რომელშიაც 2 სოფელია, 342 კომლი და 1,866 სული მკვიდრი,—მარცვლად 1,125 ფუთი და ფულად 1,828 მან. 60 კაპ.; რუისპირის საზოგადოებას, რომელშიაც 3 სოფელია, 326 კომლი და 1,599 სული მკვიდრი,—მარცვლად 265 ფუთი და ფულად 1,764 ან. 53 კაპ. ; ალავერდის საზოგადოებას, რომელშიაც 3 სოფელია, 93 კომლი და 626 სული მკვიდრი,—მარცვლად 142 ფუთი და ფულად 721 მან. 71 კაპ.; ოჟიოს საზოგადოებას, რომელშიაც 2 სოფელია, 199 კომლი და 1,340 სული მკვიდრი,—მარცვლად 234 ფუთი და ფულად 1,354 მან. 63 კაპ ; იყალთოს საზოგადოებას, რომელშიაც 1 სოფელია, 256 კომლი და 1,572 სული მკვიდრი,—მარცვლად 230 ფუთი და ფულად 900 მან. 53 კაპ.; ზემოხოდაშენის საზოგადოებას, რომელშიაც 2 სოფელია, 215 კომლი და 1,475 სული მკვიდრი,—მარცვლად 395 ფუთი და ფულად 1,325 მან. 20 კაპ. და ქისტაურის საზოგადოებას, რომელშიაც 2 სოფელია, 137 კომლი და 843 სული მკვიდრი,—მარცვლად 317 ფუთი და ფულად 678 მან. 17 კაპ.

*) იხ. „ივერია“ ამა წლისა № 139, 144, 145, 146, 147, 150 და 151.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ზ. ზუგდიდი** (სამეგრელო), 12 ივლისი. ორი თვე იქნება მას აქეთ, რაც ზუგდიდში სამოქალაქო სასწავლებელთან სახელოსნო განყოფილება დაარსდა. სახელოსნოს ჯერ-ჯერობით საკუთარი ბინა არა აქვს მიჩენილი და დროებით მოთავსებულია დაქირავებულს სახლში. სახელოსნოს მასწავლებელი, ბ-ნი გეთია, რომელსაც თავისი საგანი საგანგებოდ აქვს თურმე შესწავლილი, მოსვლისათანავე დიდის გულ-მოდგინებით შეუდგა სახელოსნოს საქმეს და საზოგადოებას გამოუცხადა: „მე უფრო დიდი სიამოვნებით, კერძოდ, მზად ვარ მსურველებს უსასყიდლოდ ვასწავლო, განსაკუთრებით სულით და გულით მსურს დურგალ-ხელოსნებს დავეხმარო და ამათის ხელობის გაუმჯობესობის და წარმატების საქმე წინ წავწიოო“!

უნდა შევნიშნოთ, რომ სასწავლებლის პატარა მოსწავლენი, რომელთა რიცხვი ზაფხულის გამო სახელოსნოში ხუთს არ აღემატება, მაგრამ ისეთის თავ-გამოდებით, დაკვირვებით და სიყვარულით ეტანებიან საქმეს, რომ მაყურებელს სწორედ რომ დიდს აღტაცებასა და სულიერს კმაყოფილებას ჰგვრის, ნამეტნავად მაშინ, როცა ჰხედავს, რომ პაწია მოსწავლეების მიერ გაკეთებული ზოგიერთი საგნები არა უმნიშვნელოა.

სამწუხაროდ, ჩვენი განათლებული და გაუნათლებელი საზოგადოება სასოცარის გულცივობით მიეგება ამ ნორჩს, მაგრამ ყველასათვის ფრიად სასარგებლო საქმეს. საკვირველია, რომ იმ დროს, როცა იმისთანანი, როგორნიც არიან ოფიცერი პროტოპოპოვი, საზღვაო ინსპექტორი ბ-ნი პუშკარიოვი, ორი ნემეცი, სამეგრელოს თავადის ბადის უფროსი-გამგე ფრანგი და სხვ. ყოველ დღე დადიან და სიამოვნებით გულ-მოდგინედ ჰმუშაობენ სახელოსნოში, ჩვენი პატივცემული საზოგადოება: „კაცო, რას ამბობ? რის „სტოლიარობა!“ აგერ ჩვენმა შვილებმა „დოროდის“ ქვეს კლასის ყურსი გაათავეს და ვერაფერი გაგვიკეთეს და შენი „სტოლიარობა-მალარობა“, თუ რაცდა ჯანაბაა, რადას გაგვიკეთებს?! ჩემი ნასწავლი შვილი „სტოლიარი“ ხომ არ იქნება. ეჰ, ძმაოვ, სხვა ილაპარაკო ის არ სჯობიან?! თუ გინდა „წინოწიკები“ დაიარებიან „სასტოლიაროში“ ისინი ხომ უსაქმურები არიან და!..“ აი ამისთანა პასუხს იძლევა ჯერ-ჯერობით აქაური უმეტესობა!

სულით და გულით ვისურვებთ, რომ ჩვენმა ყველაფერში შეგნებულმა საზოგადოებამ სულ სხვა თვალით შეხედოს ამ ახალ-მობილს და ფრიად სასარგებლო საქმეს და შეიგნოს სარგებლობა იმისთანა ხელობათა შესწავლისა, როგორიც არის დურგლობა და სხვ., მით უმეტეს, რომ ჩვენის ხალხის ეკონომიური წარმატება ამ ჟამად უკიდურესს მდგომარეობამდეა მისული და სანუგეშო მოკლებულს არას წარმოადგენს.

ბ-ნ გეთიას დაუმზადებია ძმების სართავი ეკონომიური მანქანა, რომელსაც ამ მოკლე ხანში ქალთა საზოგადოებას უჩვენებს და აუხსნის მნიშვნელობას. ვნახოთ, როგორ მოეწონებათ მანქანა; მანქანა მეტად სწრაფად მოქმედებს, იაფ-ფასიანია და ჩვენებურ ქალებისათვის უსათუოდ საჭიროა.

როგორც ნამდვილად გავიგეთ, ბ-ნ პროტოპოპოვს, მასწავლებელს გეთიას და ბ-ნ პუშკარიოვს განზრახვა აქვთ სამეგრელოს თავადის სასახლეში სახელოსნოს სასარგებლოდ ქართულს ენაზედ გამართონ ხოლმე წარმოდგენა და საზოგადოებას აუხსნან მნიშვნელობა სახელოსნოს და განსაკუთრებით მიწის რიგიანად დამუშავებისა სამეგრელოში. იმედია, ჩვენი საზოგადოება აქაც ჩვეულებრივ გულ-ცივობას არ გამოიჩენს და წარმოდგენას დაესწრება.

მიხაკო ვერმიშანაშვილი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ამ ჟამად კავკასიაში სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი

---

ჩაჯდა და მერე მაშინ, როდესაც სოფლის ბოლოს გადმოხტა და შეუდგა გზას სახლისაკენ. უკანასკნელ ორ ზაფხულს არ მოსულა სოფელში, რადგან სწავლას ამთავრებდა და საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა და უნდოდა უფრო გულდასმით ესწავლა. რა სიხარულით ამოირბინა მაშინ სოფლის გზა და სახლში მისული ტკბილად გადაეხვია ნათესავებს. პირველ მისალმების შემდეგ მთელი დღე ადარავის უნახავს სახლში. ყოველი კუთხე შემოირბინა სოფლისა, ერთი ბუჩქი არ გაუშვია, რომ არ მისალმებიყო. ეხლა? ეხლა ღონე მისუსტებული მთელი დღეები სავარძელში მისვენებული ატარებს! სადღა შეუძლიან მის მუხლებს სირბილი.

აქამდის ჩაფიქრებული მაშო პატარა ხნოს დანახვამ თითქოს გამოარკვია.

— დედილო, ჩვენ ძროხას-კი არ მოუგია ჯერა?

— როგორ არა შვილო, მართლა, დამავიწყდა მეხარებინა, მშვენიერი საფურე მოიგო გუშინ, გინდა მოგიყვანო.

მაშომ უსიამოვნოდ შეიკრა წარბი.

— არა, დედა, იყოს...

რამდენიმე წუთს ორივენი გაჩუმდნენ. უცებ საშინელი ხველა აუვარდა მაშოს. დედა სულ-განაბული შესცქეროდა. კარგა ხანს ახველა; ბოლოს მოიღგა სული, მოიწმინდა ტუჩები ცხვირსახოცით და სისხლის დანახვაზედ ნაღვლიანად ჩაიქნია თავი. დედას ფერმა გადაჰკრა. მაშოს შეეცოდა დედა და ცდილობდა სხვა საგანზედ ჩამოეგდო ლაპარაკი.

— დედა, მართლა, ჩვენი მტრედები სად არიან. კარგა ხანია თვალი არ მომიკრავს?

— ერთი გუშინ გაფრინდა, შვილო, ისე მარდად, თითქო არას დროს არა ჰქონიყოს ფრთები შეკვეცილი, უპასუხა დედამ.

— გაფრინდა. შეეკითხა თითქოს შურით მაშო. მეორე რაღა იქმნა?

— მეორემ ხომ ფეხი დაიწვა, შვილო, და ისიც მალე გაფრინდება, მოურჩება თუ არა ფეხი.

— აბა რად შეაჭერი ფრთები? ეხლა ხომ ისიც გაფრინდებოდა და ფეხს არ დაიწვავდა! ნაზის საყვედურით უთხრა მაშომ დედას.

— რა ქვა შვილო, გაუღიმა დედამ; სიბავშვიდგანვე მიყვარს ფრინველი სახლში და სიბერეშიაც გამიხსენა ამ ჩვეულებამ. არა უჭირს-რა, აი ის ერთი ხომ გაფრინდა, ამასაც მოურჩება ფეხი და ესეც მალე დაგვიკრავს თავს. მაგაზედ ნუ იჯავრებ, შენ გენაცვალე!..

— მაშომ აღარა უთხრა რა. ის ამ დროს გაჰყურებდა კავკასიონის უზარ-მაზარს მთებს, რომლის თოვლით დატვირთული წვეროები აშკარად იხატებოდა ცის კამარაზედ და მზის სხივებზედ ლაპლაპი გაჰქონდა.

კარგა ხანს სჭვრეტდა მაშო მათს სიდიადეს. ფიქრად გაურბინა, რომ უკვდავნი არიანო, და უნებურად გაახსენდა ბაირონის დრტვინვა: „მთა არს უკვდავი, მდინარეა უკვდავი და მე-კი, ადამიანი, დღეს ვარ, ხვალ მტვრად ვიქცევიო...“

ერთბაშად შეწუხდა მაშო, ცივმა ოფლმა დაასხა შუბლზედ.

— რა იყო შვილო, საჩქაროთ შეეკითხა დედა. ხომ არ შეგცივდა? შევიდეთ ოთახში, არ გაწყინოს ამდენ ხანს ჰაერზედ ყოფნამ.

— არა, დედა, აქ მირჩევნიან, ოთახში სული მეხუთება. გაივლის, ეს წელანდელმა ხველებამ დამასუსტა.

დედამ შალს დაუწყო მუხლებში შეკეცვა და გაფაციცებით შესცქეროდა შვილს თვალებში. თითქოს რაღაცა არა-საკეთილოსა ჰგრძნობდა მისი მშობლიური გული, მაგრამ არ უნდოდა მიეცა თავი ამ საზარელი ფიქრისათვის, არ უნდოდა გამხილება. მაშო ცოტას დამშვიდდა ისევ, თითქოს უნებურათ უსვამდა ხელს მუხლებთან ამომჯდარს დედას, სადაც კი მოხვდებოდა: ლოყებზედ, გულზედ, ხელებზედ...

დედა ტკბილად უკოცნიდა ხელებს, როცა-კი იგი მიუახლოვებდა ტუჩებთან, და არ აშორებდა ცრემლითა და ტანჯვით სავსე თვალებს პირისახიდგან. დრო გამოშვებით ალაპჰყრობდა მაღლა და მისი მაგრად მოკუმშული ტუჩები რაღასაც ბუტბუტებდა.

მაშო დაიღალა ცქერით და თვალები ჩალულა. რამოდენსამე წამს იყო ამ მდგომარეობაში. უცებ რაღაცა შრიალმა გამოახელინა თვალები. ის იყო მტრედმა შემოაშრიალა ფრთები მოაჯირზედ და კეკლუცად გაიგოგმანა სვეტისაკენ.

— დედაჯან, ეს მგონი ჩვენი ფეხნატკენი მტრედია! შეხედე, ალარცკი ეტყობა კოჭლობა.

— სწორეთ ის არის, გენაცვალოს დედა, ხომ აგისრულდა სურვილი, ესეც გამოფრენილა ოთახიდგან.

— გამოფრენილა!.. მწარედ წარმოსთქვა მაშომ; ნეტავი მაგას... მაგრამ გაფრენით ხომ... მეც გავფრინდები...

— რაებს ამბობ მაგას, შვილო! წასძახა დედამ სასოწარკვეთილებით. ამ დროს მაშომ უეცრად წამოიწია წინ და სწვდა დედას მხრებში.

— დედა, ჰაერი, ჰაერი, სული მეხუთება... სული...

— მიშველეთ, წყალი, შეჰკივლა საზარლად დედამ და ეცა შვილს წამოსაყენებლად... მაგრამ სულ-ამომხდარი შვილი-ღა მიიხუტა ძუძუებში...

ამ სურათით დამფრთხალი და შეშინებული მტრედი აფრინდა ცისაკენ და მისის ფრთების მხიარულს ქნევას გულ-საკლავად ბანს უწყობდა მშობლის შეგუბებული ქვითინი...

ნ. ყიფიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აპირებს ჩამოსვლას. „კავკასიის სასოფლო მეურნეობის“ გაზეთი, აღნიშნავს რა ამ გარემოებას, ამბობს, რომ მინისტრის ჩამოსვლასთან ასე თუ ისე დაკავშირებულია შავის ზღვის პირის დასახლების საქმე, რომელსაც მთავრობა დიდს ყურადღებას აქცევსო და მოჰყავს თავისი მოსაზრებანი, თუ ამ შემთხვევაში რა და რა გარემოებას უნდა მიექცეს მთავრობის მხრივ უმთავრესი ყურადღება. გაზეთის აზრით, ამ ახალშენის საქმე მხოლოდ იმ შემთხვევაში წავა კარგად, როდესაც აქ გადმოსახლებულთ შესაფერს საცხოვრებელს ადგილებს შეურჩევენ, ყურადღებას მიაქცევენ დასახლებულთა ბუნებრივს თვისებებს, შესძლებენ, თუ არა ადგილობრივის ჰავის ატანასა და რამდენად ნაყოფიერი იქმნება მათი შრომა სოფლის მეურნეობის წინ წასაწევად ამ ახალს, მათთვის ჯერ შეუჩვეველს, ადგილებში. გაზეთი ამბობს:

„მხოლოდ მიწების მიზომვა ერთის მხრივ, და მეორე მხრივ სურვილი იმისი, რომ ბედი სცადონ, თუ ახალს ადგილზედ მეურნეობა რა ნაყოფს გამოიღებს, რასაკვირველია, საკმაო არ არის საქმის ჯეროვანად გარდასაწყვეტად. ის არა ერთხელ და ორჯელ ნაცადი მარცხი, რომელიც რუსეთის შიდა გუბერნიებიდგან გადმოსახლებულთ ჰხვდათ კავკასიაში; მრავალი შეცდომა, რომელიც სახელმწიფო მიწების კერძო კაცთა შორის დარიგების დროს იჩენდა ხოლმე თავს ადგილობრივის კულტურის გასაუმჯობესებლად; ის მრავალგვარი საშუალება, რომელსაც ადგილობრივის სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის განსავითარებლად მთავრობა ჰღონობდა ხოლმე და რომელიც არც ერთხელ არ იქმნა გამართლებული—ნათლად ამტკიცებენ, თუ ეს საგანი რამდენად საძნელოა. ამ მხარის მდებარეობა, ჰავა და განსაკუთრებული ადგილობრივი გარემოებანი, რომლებიც ერთის მხრივ კავკასიაში მცხოვრებ მრავალ სხვა-და-სხვა ერთა ხასიათზედაცაა დამოკიდებული,—აქ სცხოვრებენ მუდამ მოწანწალენიცა და შრომის მოყვარე მიწის მომუშავენიც, რომელნიც მაღალის კულტურის წარმომადგენელნი არიან,—აუცილებლივ საჭიროდ ჰხდის, რომ ახალშენის გეგმა ყოველ მხრივ შესწავლილ და მოფიქრებულ იქმნას.

რომ ეს ბუნებით მდიდარი, მაგრამ უგზოობისა და მავნე ჰავისა გამო უდაბნოდ გადაქცეული ადგილები, რომელიც ზოგან სრულიად მოკლებულია სარწყავსა, ხოლო სხვაგან ჭაობებით სავსეა, დასახლებულ იქმნას, საკმაოდ დიდი ფული დასჭირდება, რომ გზები და სარწყავი არხები იქმნას გაყვანილი, ჭაობები ამოაშრონ და სხ. ცდა იმისი, რომ ხსენებულ ადგილების დასახლებასთან ერთად საჭირო თანხაც აღმოჩნდება, ან ვინმე კერძო ადამიანი იკისრებს ამას და თავისის ხარჯით გააკეთებსო, უსაბუთოა და საეჭვო. ერთად-ერთი წყარო აღნიშნულის აზრის შესასრულებლად მხოლოდ სახელმწიფო ხაზინაა, რომელმაც უნდა იკისროს ყოველივე ხარჯი ახალშენის მოსაწყობად, შეადგინოს გეგმა მომავალის მეურნეობისა და, თანახმად ამ გეგმისა, ადგილები ისეთს ხალხს დაურიგოს, რომელიც სახაზინო გამგეობის მიერ განზრახულს საგანს უკეთ შეასრულებს.

ჩრდილო გუბერნიების გლეხს ვერავინ მოსთხოვს, მაგალითად, რომ სამხრეთ კულტურის პირობანი უცბად შეითვისოს, მიწის მომუშავე, მხვნელ-მთესველმა მევენახეობა, მებაღეობა, ჩაის მოყვანა შეისწავლოს და სხ. შიდა გუბერნიებიდგან წარსულს წლებში გადმოსახლებულთ ნათლად დაგვანახვეს, რომ იგინი უფრო მაღლობს ადგილებს, რომლებიც ჰავით მათს საკუთარს სამშობლოს უფრო წააგავან, ჰრჩეობენ საცხოვრებლადა და ხნა-თესვასა და საქონლის მოვლა-მოშენებას მისდევენ, ისევე იმას, რაიცა მათს საკუთარს ხელობას შეადგენს. ასე მაგალითად, მოლოკნები ბორჩალოს მაღლობებზედ დასახლდნენ, დუხობორები ახალქალაქის მაზრაში და სხ. ზოგიერთმა გადმოსახლებულმა დაბლობი ადგილიც აირჩია საცხოვრებლად, მაგრამ ვერ გაუძლო და რა სამწუხარო შედეგიც მოჰყვა, ყველამ იცის.

დასასრულ, გაზეთი ამბობს, რომ რუსეთშიაც ცოტა არ მოიძებნება ისეთი ხალხი, რომელსაც შავის ზღვის პირად დასახლება, მებაღეობა და მაღალის კულტურის მრეწველობა შეუძლიანო. მხოლოდ საჭიროა, რომ მთავრობამ ჯერ გზობით საჩვენებელი სადგურები, სკოლები გაუმართოს და ადგილობრივის მეურნეობის ხელი შეასწავლოსო.

სრული სიმართლეა ყოველივე, რასაც პატივცემული გაზეთი ამბობს, და არ შეიძლება თანაგრძნობით არ მოეპყრას ადამიანი ასეთის პირუთვნელის რჩევისათვის, რასაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ძალიან იშვიათად შევხვდებით ხოლმე თანამედროვე ადგილობრივსა, თუ რუსეთის ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ ერთი რამ არ გაუკვევია სავსებით, ან-და არა ჰსურვებია, რასაკვირველია, პატივ სადებ რაიმე მიზეზისა გამო, რომ სიმართლე, რომელიც წერილის თითოეულს სტრიქონში გამოსჭვიტს, უფრო ნათელ-ეყო და პირდაპირ ეთქვა. აი სახელდობრ რა:

როგორც თითონ გაზეთიც აღიარებს, რუსეთის გაზეთებმაც ბევრ ჯელ აღნიშნეს და მთავრობაც დარწმუნდა, რუსეთის მცხოვრები შავის ზღვის პირის ჰავას ვერ იტანს; ვერ იტანს ჯერ-ჯერობით მაინც, როდესაც იქაურს ჭაობებს გამაუმჯობესებელი ხელი არ შეჰხებია და არ ამოუშვრიათ. მაშ, რა დასკვნა გამოჰყავს გაზეთს, ვინ არის ეს ის ხალხი, რომელიც შეიძლება ხსენებულს ადგილებში დასახლდეს?.. გაზეთი ამას არ ასახელებს.

ჩვენის აზრით, ასეთ ხალხად ისევ ადგილობრივ, კავკასიის მცხოვრებნი უნდა ჩაითვალნენ, რომელნიც რუსეთის უმამულო გლეხებზედ ნაკლებ არ არიან გაჭირვებულნი და რომელნიც მართლაც შეიფერებენ ადგილობრივს ჰავასაცა და იმის უნარსაც გამოიჩენენ, თუ ადგილობრივი სხვა და-სხვა გვარი კულტურა როგორ განავითარონ ან გააუმჯობესონ. ეს მით უფრო სასარგებლო იქმნება, რომ ადგილობრივს გლეხობას ყოველივე დარგი მეურნეობისა, გარდა ჩაის მოყვანისა, საუკუნოებით შესწავლილ შეთვისებული აქვს, იცის, როგორ შეუწყოს ხელი ადგილობრივ გარემოებათა მიხედვით, როგორ გაუფრთხილდეს ჯანს და სხ. ხოლო როდესაც მთავრობა საჭირო ფულს გაიღებს, დღევანდელს ჭაობებს ამოაშრობს და ადგილობრივ მცხოვრებთა შრომით აქ საკმაოდ მაგრად მოიკიდებს ფეხს სხვა-და-სხვა მეურნეობა, განა ვინ იქმნება დამშლელი რუსეთის უმამულობით შეწუხებული გლეხობაც იქ მნას დასახლებული თავისუფალ ადგილებზედ!

ამ საგნის შესახებ მრავალი წერილი დაბეჭდილა ადგილობრივს რუსულსა თუ ქართულს ჟურნალ-გაზეთებში, მრავალ-გზის უმტკიცებიათ, თუ აქვე, ადგილობრივ, მაგ. რაჭა იმერეთსა და სხვაგან რამდენად გაჭირვებულია ხალხი ადგილის უქონლობისა გამო და ბევრჯელ გამოთქმულა აზრი, რომ უფრო შესაფერებელია შავის ზღვის პირად უმამულო კავკასიელები იქმნან დასახლებულნიო, მაგრამ დღემდის ეს საგანი არ გარდაწყვეტილა.

იმედია, ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევენ, ვისგანაც ჯერ არს, ითავებს ვინმე და მინისტრის ჩამოსვლამდე ამ საგნის შესახებ ცალკე მოხსენებას შეადგენენ, რომ საქმემ სამართლიანი მიმართულება მიიღოს და ადგილობრივ მცხოვრებთა სასარგებლოდ, თუ სახელმწიფოს აზრის უკეთ შესასრულებლად, ისე გარდასწყდეს იგი, რომ სანანური აღარავის რა დაჰრჩეს.

## რუსეთი

—

ქალთა სამკურნალო ინსტიტუტის კურთხევა 5 აგვისტოსათვის არის დანიშნული. პირველ კურსზედ, რომელიც წელს გაიხსნება, 160 ყურის-მგდებელი ქალი იქმნება მიღებული.

— ამ დღეებში ოდესაში გარდაცვლილს გენერალ-მაიორს გ. გ. რეიგოროვიჩს მთელი თავისი ქონება, 20,000 მან. ღირებული, ქალთა მომავალ სამკურნალო ინსტიტუტისათვის უანდერძებია.

— ცნობილს რუსეთის მხატვარს, შთამომავლობით ფეოდოსიელს სომეხს, ი. კ. აივაზოვსკის სამხატვრო მოღვაწეობის 60 წელიწადი ამ მიმდინარე წლის სექტემბერში შეუსრულდება.

— გზათა სამინისტრო ამ ჟამად იმ საგნის შემუშავებას შესდგომია, რომ ბალტიისა და შავის ზღვის შუა რუსეთის იმპერიაში გემებმა იარონ მდინარეებით. ამ საგანს დიდი მნიშვნელობა ექმნება არა მარტო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის, არამედ სტრატეგიულადაც. ამ აზრის შესასრულებლად, რომელიც პეტრე დიდსაცა ჰქონდა განზრახული, საჭიროა ჯერე მდინარე დნეპრის ოლრო-ჩოლრო კალაპოტი იქმნას გაწმენდილი და მერე დანარჩენ მდინარეების გაწმენდას შეუდგნენ. ამ საქმისათვის უკვე გადადებულია თანხა, მაგრამ საჭირო ხარჯს იგი ვერ დაჰფარავს; ამისათვის სამინისტრო უკვე შესდგომია გამოიანგარიშოს დნეპრის გაწმენდას რა თანხა დასჭირდება.

— ახალი სალიტერატურო-საარტისტო წრე, რომელიც ქ. ოდესაში არსდება, ამ მიმდინარე წელს, შემოდგომაზედ დაიწყებს მოქმედებას. შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე დაამტკიცა წესდება ამ ახალის წრისა. სალიტერატურო-საარტისტო წრე გაჰმართავს წარმოდგენებს, სალიტერატურო-სამუსიკო საღამოებს, კითხვებსა და სხ. წრეში მონაწილეობას მიიღებენ ლიტერატორნი, არტისტნი, მხატვარნი და სხ.

— საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბ-ნს ფორს პეტერბურგის მეფაბრიკეები, მექარხნეები და სხვა-და-სხვა მრეწველობის წარმომადგენელი ფრანგები საჩუქრად საუცხოვო ალბომს უმზადებენ, რომელშიაც მოთავსებული იქნება სურათები ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სხვა-და-სხვა მრეწველობისა.

— ფინლიანდიის გაზეთების სიტყვით, ფინლიანდიის სენატს 40 ათასი მარკა გადაუდვია გეოლოგოსთა მე-VII კონგრესის წევრთა დასახვედრად ფინლიანდიაში. ფინლიანდიას 800-მდე გეოლოგოსი ეწვევა. კონგრესის წევრნი 17 აგვისტოს წავლენ ფინლიანდიაში და დაათვალიერებენ იმატრას, გელსინგფორს, ლახტისს, ტამერფორსსა და ხოგლანდს.

— შინაგან საქმეთა სამინისტროში ლაპარაკი აღუძრავთ იმის შესახებ, რომ 1892 წლ. საქალაქო დებულება ახალის მუხლით იქმნას შევსებული. ამ მუხლის ძალით ქალაქს შეეძლება სამის წლის ვადის გასვლამდე დამატებითი არჩევანები მოახდინოს ხოლმე, რისთვისაც ნაჩვენები იქმნება, რა და რა შემთხვევაში ექმნენა ქალაქს ამისი უფლება.

— რკინის გზის სახელოსნოებში მუდმივ მომუშავე ხელოსანთა საზოგადო განვითარებისა და ტეხნიკურ მომზადების გასაუმჯობესებლად გზათა სამინისტროს განუზრახავს ამ ჟამად, რომ რკინის გზის უმთავრესს სახელოსნოებსა და დეპოებთან სახელოსნო მოსწავლეთათვის საგანგებო კურსები დააარსოს, სადაც ამათ მათის ხელობისათვის საჭირო და გამოსადეგ საგნებიდგან ყველა ცნობებს შეასწავლიან.

— ცხენოსან ჯარების საზეითალო ექიმებს საგანგებო შუამდგომლობისა გამო სასყიდელი მიეცემათ იმისათვის, რომ სამოსწავლო სამჭედლოებში ჯარის-კაცებს მჭედლობას ასწავლიან.

— ექიმთა საერთაშორისო მე-XII კრების შრომა მხოლოდ იმდენი ცალი იქმნება დაბეჭდილი, რამდენი კაციც წევრადაა ჩაწერილი, ასე რომ გასასყიდად საშოვნელი სრულიად არ იქნება.

— 1897 წლის 1-ლ სექტემბრიდგან დიდისა და პატარა სისწრაფის საქონლის გადასატან-გადმოსატანად კავკასიისა და იმიერ კასპიის რკინის გზით ახალი გარდასახადი იქმნება შემოღებული.

## უცხოეთი

—

**საბერძნეთი.** გაზ. „Asty“-ი იუწყება, რომ სამხედრო ჯილდოს პირველი გადასახადის გასასტუმრებლად საბერძნეთის მთავრობამ გადასწყვიტა აიღოს შინაგანი სესხი, თვით საბერძნეთის სახელმწიფოში ანუ საზღვარ გარეთ ბერძნების ახალშენებშიო.

—

**ოსმალეთი.** გაზ. „Figaro“-ს სიტყვით, ამ დღეებში კონტრკსევილში (საფრანგეთშია) ახალგაზდა ოსმალთა დასის წინამძღოლებს კრება ჰქონიათ იმის გამოსარკვევად, თუ რა გზას უნდა დაადგნენ შემდეგში. საქმე ის არისო, ამბობს გაზეთი, რომ წინამძღოლთ სულთანისაგან დეპეშა მიიღეს, რომელშიაც ფადი შაჰი ჰპირდება პატიებას და ამასთანავე არწმუნებს, რომ ოსმალეთს ამ ახლო მომავალში ისეთს ლიბერალურ დაწესებულებათ მივანიჭებ, როგორის შემოღებასაც ახალგაზდა ოსმალთა დასია მოწადინებულიო. წინამძღოლთა კრებამ გადასწყვიტა მიიღოს სულთანის მიერ დადებული პირობანი.

—

**ამერიკის შეერთებული შტატები.** როგორც გაზეთები იუწყებიან, ამ რამდენისამე დღის წინად ამერიკის ქვა-ნახშირის მაღაროებში მომუშავეთ დიდი შეთქმულება მოახდინეს. პიტსბურგის ათის შტატის ქვა-ნახშირის მაღაროებში მომუშავეთა 71 წარმომადგენელს კრება ჰქონდათ, რომელზედაც გადასწყვიტეს მუშაობა შეაჩერონ. და მართლაც 112,000 კაცმა უკვე აიღო ხელი მუშაობაზედ და მალე სხვებიც აიღებენო. ეს ამოდენა მუშა ხალხი მეტად წყნარად იქცევა თურმე და არავითარ უწესოებას არ სჩადის. მიზეზი ამ შეთქმულობისა მექარხნეებისაგან სამუშაო ფულის დაკლებაა. წინად ქვა-ნახშირის მაღაროებში მომუშავე 6—7 დოლლარამდე (დოლლარი—2 მანეთია) იღებდა კვირაში, ხოლო ეხლა 4—5 ძლივს იღებს. მუშებმა მტკიცედ მოიწადინეს თავიანთის სურვილის განხორციელება და ვიდრე სამუშაო ფასს არ მოუმატებენ, მუშაობას არ მოჰკიდებენ ხელს. ამ მხრივ ამერიკელ მუშების საქმე კარგადაა მოწყობილი. კასებისა და წინადვე დაზოგილის ფულის შემწეობით ამერიკელ მუშებს შეუძლიანთ მთელი თვეობით მუშაობას ხელი არ მოჰკიდონ. მუშათა ასოციაციებითა და კავშირებით მთელი ამერიკა მოფენილია. ყველა კუთხის მუშებს ისეთი საერთო კავშირი აქვს, რომ ერთგან თუ სადმე მუშაობაზედ ხელი აიღეს, სხვები არას გზის არ წავლენ სამუშაოდ იმ ადგილზედ და ამ რიგად მექარხნე იძულებული ხდება აღასრულოს მუშათა სურვილი. ზოგიერთ მუშათა ასოციაციებსა და კავშირებს მილიონობით აქვთ კასებში შენახული ფული. აწინდელმა შეთქმულებამ ამერიკის ჟურნალ-გაზეთებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. თითქმის ყველანი ალაპარაკდნენ და ყველანი ურჩევენ როგორც მუშებს, აგრეთვე მექარხნეებს საქმე მშვიდობიანად გაათავონ. იმათის აზრით, უმჯობესი იქმნება მედიატორები დანიშნონ და ისე მორიგდნენ. მედიატორულის წესით საქმის გათავება ამერიკის მუშათა და მექარხნეთ შორის ძალიან ხშირია ხოლმე. თითო მხარე თითო წარმომადგენელს ირჩევს და ეს ორნი კიდევ თავისის მხრივ მესამეს—თავმჯდომარეს ირჩევენ და ისე სწყვეტავენ საქმეს. ეჭვი არ არის, რომ ეხლაც ასე გათავდება ეს უსიამოვნება, მით უმეტეს, რომ შეერთებულის შტატების მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და შეიძლება თავისი წარმომადგენელიც დანიშნოს.

## ნაკვესი

—

ერთს მეფეს ისე ძალიან უყვარდა ერთი თავისის ცხენთაგანი, რომ ერთხელ სუმრობითა სთქვა: ვინც მაგ ცხენის სიკვდილის ამბავს მომიტანს, მაშინვე უბრძანებ და ჩამოკარჩობინებო. ცხენი მოკვდა. ვერავინ ვერა ჰბედავდა მეფესთან მისვლასა და ამ ამბის შეტყობინებას. ბოლოს ერთმა მეჯინიბემ იკისრა ეს მძიმე საქმე.

— ახ, თქვენო უდიდებულესობაო, ქაქანით შევარდა ოთახში და დაიძახა: თქვენი ცხენი... თქვენი საყვარელი ცხენი... ოჰ, ღმერთო!... თქვენი მეირფასი ცხენი...

— მოკვდაო? შესძახა მეფემ.

— ეგ თქვენვე სთქვით, თქვენო უდი-

დებულესობაკ, მე არ მითქვამს! სთქვა გონება-მახვილმა მეჯინიბემ.

## ჟურნალ გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ ამ ჟამად არის ეგრეედ წოდებული სინემოტოგრაფი, ანუ მანქანა, რომლის შემწეობითაც „ცოცხალს სურათებს“ აჩვენებენ ხალხსა. აქამდე ეს მანქანა მხოლოდ თვალის გასართობად იყო, ეხლა მეცნიერებს უსარგებლიათ ამ მანქანით და გამოუგონიათ ტაუმატოგრაფი. ჯერ ვარდისა ან მცენარის სურათებს იღებენ ყოველ წამს მთელის დღე ღამის ან კიდევ მეტის ხნის განმავლობაში, ვიდრე ვარდი გაიშლებოდეს და მერე დაჭკნებოდეს. შემდეგ ამ მთელი დღე-ღამის განმავლობაში გადაღებულ სურათებს 1½ წუთში აჩვენებენ. ამ გვარად ადამიანს უჩვენებენ როგორ იშლება და ჭკნდება ვარდი ან ყვავილი. ასევე შეიძლება დაანახვონ ადამიანს, როგორ მრავლდება თევზი, მწერი, ინფუზორები და სხვ.

* * *

ბერლინის ერთს მკითხავს ფერიემს უთქვამს: „მე დიდი ხანია ან ერეს ჰაეროსტატს მაღლა არა ვხედავ, ჰაეროსტატი უეჭველია ძირს არის, მაგრამ მიწაზედ-კი არა. სამივენი ცოცხლები არიან. ჯერ ოთხი მტრედი გამოუშვიათ, მაგრამ სამი გზაში გაიყინა. კიდევ ბევრი მტრედი დაიხოცება გზაში, მაგრამ რამდენიმე მაინც მოაგნებს განათლებულ ქვეყნებს. მალე შეიტყობს მთელი ქვეყანა ანდრეს ამბავს. ოჰ, ნეტავი ეს ზღვა არ მიშლიდეს! სთქვა ბოლოს მკითხავმა. ამაზედ მეტი მკითხავს ვერაფერი ათქმევინეს.

## ახალი წიგნები

ჩვენ მოგვივიდა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ გამოცემული წიგნი: „მოშენება და მოვლა ფუტკრისა“, შედგენილი ბ-ნ მ. ზაალაშვილის მიერ. ამ წიგნში საკმაოდ სავსებით არის ნაამბობი ცხოვრება ფუტკრისა და ხელი მისის მოშენება-მოვლისა. წიგნს დართული აქვს სურათები ფუტკრისა და სკებისა. წიგნი ძალიან მდაბიურის ქართულით არის ნაწერი და, რაღა თქმა უნდა, ფრიად სასიამოვნოა ასეთის სახელმძღვანელო წიგნების გამოცემა და დიდს სარგებლობასაც მოუტანს იგი ჩვენს მეფუტკრეებს. წიგნი შეიცავს 74 გვერდს პატარა ზომისას.

## გასართობი

მადრიდში ერთი სქელი, მეტისმეტად სქელი კაცი სცხოვრობდა თურმე, გვარად ლონეცი, რომელიც ექვს ფუთს იწონიდა. რაკი ვაჭარი იყო და ხშირად დამოგზაურობდა, ეშინოდა, რკინის გზით სიარულში ორის კაცის საფასური არ გადამახდევინონო და ამიტომ გახდომა მოინდომა. ამ სურვილით მიჰმართა ექიმს ა—ნს, რომელსაც ხელობად დაეჩემებინა სუქანთა დამჭლევება. ექიმმა ურჩია ხშირი სიარული და ამ რჩევამ ისე უშველა, რომ წონაში 1½ ფუთამდე იკლო და, მაშასადამე, საკმაოდ გახდა. გახდა-კი, მაგრამ ხშირის, უჩვეულო ფეხით სიარულისა გამო ფეხები დაუსივდა. მაშინ ლონეცმა მიჰმართა გამოჩენილს ექიმს ბ—ნს; ამან ურჩია, რომ ყოველ დღე ნამიანი მიწა შემოეყარე ფეხზედ და ისე შეიხვიეო. ამ საშუალებამ უშველა, მაგრამ ყელის ანთება დაჰმართა. ამ ყელის ანთებისაგან ელექტრონით განკურნა ექიმმა გ—ნმა, ხოლო ამ დროდგან საბრალო ლონეცს აუტყდა სისუსტე მარლვებისა და ამასთან დაჰყვ უმილობა, ათასი რამ ელანდებ-ეჩვენებოდა ხოლმე. მიჰმართა მარლვების ექიმს დ—ნს, რომ ელმაც ეგრედ წოდებული „ბრომი“ დაუწერა და მარლვები დაუმშვიდა, გაუმაგრა, მაგრამ, სამწუხაროდ, ბრომმა კუჭი სულერთიანად აუშალა და მოუფორიაქა. იმულებული შეიქმნა ექიმ ე—ნისათვის მიემართა, რომელიც ექვსი თვე სწამლობდა და ნოყიერის საჭმლებით ძლივს განუკურნა კუჭი. კუჭის კარგად მუშაობისა გამო ლონეცი კვლავ გასუქდა და ამ ჟამად წონაში ისევ ექვსი ფუთი მოდის.

* *

მოსამსახურემ დაანახა, რომ ბატონმა წერილი წაიკითხა, გადაგდებას უპირებდა და შესძახა:

— ნუ გადააგდებთ, ისევ მე მომეცით, მამაჩემს გაუგზავნი, რადგან ჩვენებურებს სულ იმას აბარებს, რომ წერილები გამომიგზავნოსო.

* *

ჯარის-კაცმა აფიცერს დილით ცალცალი წაღები მიუტანა ჩასაცმელად, ერთს გრძელი ყელი ჰქონდა, მეორეს — მოკლე.

— სულელო! ეს ხომ სხვა და-სხვა წაღა მოგიტანიაო! დასტუქსა აფიცერმა.

— რა ვქნა, ბატონო, უპასუხა ჯარის-კაცმა: კარებს უკან ერთი წყვილი მაგისთანა წაღა კიდევ აწყვიაო.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

25 ივლისი.

**კონსტანტინეპოლი.** ოსმალეთის მიერ ახალის წინადადების წარდგენისა გამო მე-6 მუხლი ხელ-ახლად იქმნა შემუშავებული და მე-12 მუხლი მიემატა; მე-13 მუხლი ჯერ შემუშავებული არ არის. თუ მინისტრთა საბჭომ დღეს ეს მუხლი შეიმუშავა და ბრძანება იქმნა გაცემული, — ხვალ მშვიდობიან მორიგების შესახებ იქმნება სხდომა გამართული.

როგორც პორტას ფორმალურ მოხსენებიდგანა სჩანს, ოსმალეთის ესკადრა კრიტზედ არ წავა.

**ვენა.** „პოლიტიკურს კორესპონდენციას“ კონსტანტინეპოლიდგან მშვიდობიან ხელშეკრულობის შინაარსს სწერენ: მუხლი 1-ლი — საზღვრები; მუხლი 2 — 4 მილიონი სამხედრო საზღაური და ძველისა და ახლის საბერძნეთის სესხის კანტროლი; მუხლი 3 — კაპიტულიაცია; მუხლი 4 — მშვიდობიანობის ჩამოგდება; მუხლი 5 — სამის სპეციალურის კონვენციის დასახელება; მუხლი 6 — თესალიიდგან ჯარის გაყვანა და ზოგიერთ ადგილების ოსმალთა ხელში დარჩენა სამხედრო საზღაურის გადახდამდე (წვრილ-წვრილად გადახდის შესახებ არც მე-6 და მე-2 მუხლში არა არის-რა ნათქვამი); მუხლი მე-7 — სადიპლომატო დამოკიდებულებათა განახლება; მუხლი მე-8 — საბერძნეთის ქვეშევრდომთა მფარველობა; მუხლი მე-9 — მედიატორეთა სამართალი იმ შემთხვევისათვის, თუ საბერძნეთი და ოსმალეთი მოლაპარაკების დროს ვერ შეთანხმდებიან; მუხლი მე-10 — 1881 წლ. კონვენციის შესწორების შესახებ ოსმალეთის სხოლიო. დასასრულ ბოლო მუხლში მოხსენებულია ვადა, როდემდისაც ეს გარდაწყვეტილება უნდა მიიღოს პორტამ.

**რომი.** მეფე ერთს გენერალ-ადიუტანტსა და ფლიგელ-ადიუტანტს ჰგზავნის ტერმინიოში, რომ პრეზიდენტს ფორს სალამი მიუძღვნან.

**ტერმინიონი.** ფორი კოლ-სოლვერს ცხენით მობრძანდა და აღლუმს დაესწრო.

**რომი.** „ტრიბუნა“ იუწყება, რომ მე 63 ქვეითა ჯარის პოლკის 1 ლმა ბატალიონი, რომელიც გენუაში სდგას ბანაკად, ბრძანება მიიღო, კრიტოსში წავიდესო. წასვლის დღე ჯერ დანიშნული არ არის.

**კელნი.** „კელნის გაზეთს“ აუწყებენ დეპეშით კონსტანტინეპოლიდგან: „ელჩებმა უარი განაცხადეს ოსმალეთის იმ თხოვნის შესახებ, რომ სამხედრო საზღაურის ერთი ნაწილი საბერძნეთმა ორის კვირის შემდეგ წარადგინოს და კალაბაკა-ტრიკალა-ყარადაგ - ვოლოს ოკუპაცია მხოლოდ ამ ვადამდე იყოსო. ნება დართულია, რომ ვოლო პირველ შესატან საზღაურის წარდგენამდე შეიერთოს საბერძნეთმა.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. გოშენმა განაცხადა, რომ კრიტოსის წყლებზედ ამ ჟამად სულ 32 ევროპიელი გემი არისო და იმათ შორის 5 ინგლისისაო. ადმირალებმა გარდასწყვიტეს ოსმალეთის სამხედრო გემებს კანდიის ნავთ-საყუდელში შესვლა აღუკრძალონ.

**კონსტანტინეპოლი.** დღეს ელჩებსა, სამხედრო აგენტებსა და ოსმალეთის სამხედრო დელეგატებს კრება ექნებათ მე-6 მუხლის დაწვრილებით შესამუშავებლად, სახელდობრ იმ ადგილებისა, რომლებიც თესალიიდგან ჯარის გაყვანასა და ზოგიერთ ადგილების ოსმალთა ხელში დატოვებას შეეხება, ვიდრე სამხედრო საზღაურს გარდიხდიდნენ.

26 ივლის

**ხაბაროვსკი.** შეველევის გემი „ვლადიმირი“ 21 ივლისს გალსის ქიმთან ქვას დაეჯახა და დაიღუპა. მგზავრები გადაარჩინეს და პოსიეტში მიიყვანეს. გემის გადარჩენა შეუძლებელია.

**პარიზი.** სამხედრო საზღაურის სრულიად მიღებამდე პორტას ჰსურ და პენეი მის ხელთ ყოფილიყო; სახელმწიფონი თანახმანი არიან, რომ პენეი ოსმალეთის გამგეობის ქვეშ იყოს, ვიდრე საბერძნეთი საზღაურის ერთს მესამედს გარდიხდიდეს და თხოულობენ, რომ მორიგების პირველდაწყებითს პირობებს ახლავე ხელი მოაწეროს.

**ალექსანდრია.** ამტკიცებენ, რომ რაბატასა და მახდის შორის კავშირი არსდება ინგლისის ექსპედიციის წინააღმდეგაო. ყველა დღემდის მიღებული ცნობა იმას ამტკიცებს, რომ სუდანში უთუოდ დიდი ცვლილება უნდა მოხდეს.

**კანეა.** რადგანაც კრიტოსელთ შიში აქვთ ჯევათ ფაშას მისიამ ავტონომიას ხელი არ შეუშალოს, კრიტოსის უმთავრეს პროვინციების დეპუტატებმა განაცხადეს, რომ ავტონომიას მივიღებთო. ეს საბუთი პირველი ოფიციალური განცხადებაა სახელმწიფოთა წინაშე რომ ავტონომიის გეგმა მიღებულ იქმნა.

**კონსტანტინეპოლი.** ცამეტსავე მუხლის მორიგებისას გრეზე საქმეთა მინისტრმა ხელი მოაწერა; მხოლოდ მე-6 მუხლი დარჩა ხელ-მოუწერელი, რომელიც თესალიიდგან ჯარების გაყვანას შეეხება. ამის შესახებ მალე შეთანხმდებიან.

**ბრანი.** (უნგრეთი). ქალაქი წყალდიდობისაგან დიდს შიშშია. დუნაიში წყალი მატულობს.

პეტერბურგის ბირჟა, 25 ივლისი

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გარიგებისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . | — „ | — „ | 205½ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 100⅝ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 99½ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 285½ | — | — „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 245½ | — | — „ |

## „ივერიის“ ფოსტა

**ქ. ფ—ი. ვ. ქ—რელს.** თქვენ მიერ გამოგზავნილი „ნაკვესები“ უმართებულოა, არ დაიბეჭდება. არც ლექსის დაბეჭდვა მიგვაჩნია შესაძლებლად.

**ბ-ნს კახელს.** თქვენი „ნაწყვეტები“ ძალიან სუსტია და არ დაიბეჭდება.

**თავ. ბრ. ფ—შვილს.** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**სოფ. თ—ჯოლა. გულშემატკივარს.** თქვენის წერილისა ვერა გავიგეთ-რა.

**ქ—სი. ქ. მქ—ლს.** თქვენი საპასუხო წერილი ლ. ბოცვაძის წინააღმდეგ არ დაიბეჭდება.

**დ. ყ—ილა. თავისუფალს.** ნურა გეფიქრებათ. რედაქციას ეგ წესად არა აქვს. რაც შეეხება თქვენს უკანასკნელს წერილს, მისი დაბეჭდვა საჭიროდ არ მიგვაჩნია.

**გ. ლ—ძეს.** თქვენ მიერ ნათარგმნი რუსულიდგან „ფინია“ არ დაიბეჭდება, რადგან მეტად ცუდის ენით არის გადმოქართულებული.

## წერილი რედაქციის მიმართ

(ბ-ნ ზაქარია ჭიჭინაძის პასუხად)

ამას წინად ერთს ჩვენ ქართველ მოღვაწესთან მქონდა საუბარი იმის შესახებ, თუ რა დასაღუპი და დასამცირებელი კილო მიიღო ჩვენში პოლემიკამა და შევჩივლე ჩემი ხელთნაწერის შესახებ ბ-ნ გოგებაშვილის მიერ ატეხილ პოლემიკაზე.

— თხვენ ის გიკვირთო, რომ უმართებულოდ შეეხნენ თქვენს ხელთნაწერს, ჯერ არ ნახულს, გამოუქვეყნებელს, მოიცადეთ ჯერა, ცოტა ხანს შემდეგ შეეხებიან თქვენს პატიოსნებასაც, ოჯახსაც, კერძო თქვენს ცხოვრებასაცაო; იტყვიან იმას თუ როგორა გძინავთ, პირში რამოდენა ლუკმას იდებთ და კიდევ სხვა ბევრს რასმესაო, მიპასუხა ჩემმა მოსაუბრემ.

არ გასულა სამი-ოთხი დღე ამ საუბრის შემდეგ, რომ ჩვენი პატივცემული მოღვაწის სიტყვა გამართლდა. „ივერიის“ 128 №-ში გამოალაშქრეს ჩემზედ „ჩვენი მწიგნობრობის მოყვარე, ჩვენი მწერლობის მიმდინარეობის საქმეების ჯეროვანი ყურადღების მპყრობელი. ბევრი ამბების მნუსხველი, კაცის მომდურებას, კამათს, ჭორებს და ცილის-წამებას ერთობ მორიდებული“ *) და ისიც იცით ვინა? — ჩვენი ზაქარია ჭიჭინაძე. გამოალაშქრეს იგი და მერე რა იარაღით? რა ცილისწამებით? მაგრამ ისევ ზაქარია ავაჭიკჭიკოთ: „შარშან მკათათვეში, ბრძანებს ჭიჭინაძე, ალ. ნათაძე შემხვდა დე ჩემს კითხვაზე — ამ სიცხეში ქალაქში რად მიხვალ — ნათაძემ მომიგო: მე სახელმძღვანელო შევადგინე ერთი და წარვადგინე იქ, სადაც ჯერ არს, წიგნი მოსწონებიათ, ამისთვის 200 მანათი ჯილდო დაუნიშნავთ საჩუქრად (ვის?) და ახლა მივალ და წიგნი და ფული უნდა მივიღოო, მერე წიგნსაც დავბეჭდამო. ამ საუბარს ჩემი მეგობრები კოწია თავართქილაძე და არსენ ორმოცაძე დაესწროო“.

საქმე-კი ნამდვილად აი ასე გახლდათ: მე ვაგონში შემხვდა შარშან ზაქარია ჭიჭინაძე და მის კითხვაზე, თუ მე ამ სიცხეში სად მივდივარ — ვუთხარი: ეს ორი წელიწადია, რაც სახელმძღვანელო წარუდგინე მთავრობას მოსაწონებლად და აქამდის პასუხს არ მაძლევენ მეთქი. ახლა ჩემი ძმისწული მწერს — ჩამოდი, რაღაც ქაღალდი მოვიდა მზრუნველისაგან და იქნება შენს წიგნს შეეხებოდესო **). მერე ზაქარიამ დამიწყო მცხარე კამათი იმის შესახებ, რომ „დედა-ენა“ ყოვლად უსრულესია, არავინ უნდა გაბედოს მის წინააღმდეგ წასვლა, მაგრამ ახლანდელი ახალგაზდობა ისე დაეცა, იმისთანა კაცსა მტრობსო, როგორიც გოგებაშვილიაო (ვინ ვისა მტრობს, ეგ მკითხველისთვის მიმინდვია). მე ამაზე რა უპასუხე — ამითი თავს არ შევაწყენ მკითხველს, მხოლოდ იმას-კი ვტყვი, რომ ჩვენს საუბარს დაესწრო და ყურს უგდებდა მხოლოდ ერთი ყმაწვილი კაცი, არ ვიცი ჭიჭინაძის რომელი მეგობართაგანი იყო — თავართქილაძე, თუ ორმოცაძე; მე ამათ პირად არცერთს არ ვიცნობ, ვიცნობ მხოლოდ გაზეთებიდგან, როგორც კეთილ-სინიდისიერ მოღვაწეთ ჩვენი საზოგადოების დღეგრძელობისათვის და სწორედ ამ კეთილსინიდისიერობის იმედი მაქვს, რომ ესენი არ მიჰხედავენ ზაქარიასთან მეგობრობას და ჩემთან უცნობობას და თუ იციან რამე ამ საქმის შესახებ — იტყვიან იმას, რაც ნამდვილად მოხდა.

და რაც შეეხება იმას, თუ მე ზაქარიას ვემდური, ან მე იგი მემდურის — ეს არავისთვის საინტერესო არ არის და არც ისეთი თვალ-საჩინო კაცია ზაქარა ჭიჭინაძე, რომ მისი კერძოობითი სამდურავი და ბუტიაობა გაზეთის ფურცლებზე გამოვფინო. მე ვცდილობ შეძლებისა დაგვარად ვემსახურო ჩვენს საზოგადოებას და რამდენიც გნებავდეთ, ბ-ნო ჭიჭინაძე, თუ არ დაგიშლიათ, სწერეთ ტყუილები. უფრო დიდს, უფრო შესანიშნავბუმბერაზ ქართველს მოღვაწეებს რას უშვრებით ხოლმე და რა გასაკვირალია, ამისთანა მცირე მოღვაწეს, როგორიც ალ. ნათაძეა, უმართებულოთ შეეხოთ. ივარჯიშეთ, ივარჯიშეთ, კარგს მემკვიდრეობას დაუტოვებთ ახალ-თაობას.

ალექსანდრე ნათაძე

*) რაც პრწკალებშია ჩასმული, ყველა ამას თავისს თავზე ამბობს ზაქარია.

ა. ნ.

**) წიგნი მხოლოდ ეხლა ამ თიბათვის პირველებში მოიწონეს და ახლა იკითხეთ, შემეძლო თუ არა მეთქვა ის, რასაც ზაქარია ბრძანებს.

ა. ნ.

## განცხადებანი

ТОВАРИЩЕСТВО
Брокаръ и Ко.
ИЗОБРѢТАТЕЛИ
ГЛИЦЕРИНОВОЙ
ПУДРЫ.
СРЕДСТВО
ДЛЯ СМЯГЧЕНІЯ КОЖИ, РУКЪ И ЛИЦА.
Коробка съ пуховк. 80 к.


Коробка безъ пуховки 50 к.
(11—მ—2)